პენსილვანიის (აშშ)
საგუშაგო კოშკის,
ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალი საქართველოში
BRANCH OF THE WATCH TOWER BIBLE AND TRACT SOCIETY
OF PENNSYLVANIA, USA, IN GEORGIA
ტელეფონი:
(+995 32) 76-23-59
ს/ყ 237, თბილისი, 0102
ფაქსი:
(+995 32) 76-95-98

№ 29A/12

19 ნოემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ
თბილისის არქიტექტურის სამსახურს

განცხადება

(პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმისა და განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების დასკვნის წერილობით გამოცემის შესახებ.)

მოგეხსენებათ, რომ თქვენს სამსახურში შემოტანილი გვაქვს საქმე №AR175171, რითაც ვითხოვდით კორექტირებული პროექტის შეთანხმებას შემდეგ ობიექტზე, *მისამართი: ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე–12 ქუჩა, №13.15–ზე,* 20–ბინიანი საერთო საცხოვრებელის ასაშენებლად. დღევანდელი მდგომარეობით შენობის მშენებლობა დასრულებულია და მის ექსპლუატაციაში მიღებაზე, 2012 წლის 18 მაისის №ბ–07/69046–16, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანებით უარი გვეთქვა. *(შესაბამის ბრძანების ასლს თან ვურთავთ.)* ამჟამად ობიექტზე გაცემულია ამ სამსახურის მიერ მითითება №000059.

მოგეხსენებათ, რომ 2012 წლის 18 ივნისს, შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში «მშენბლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ», კერძოდ, მის 62–ე მუხლში. ამ ცვლილებების თანახმად გამარტივდა მშენებლობის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცედურა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი განცხადებით მიმართავს არქიტექტურის სამსახურს და წარადგენს ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის ბრძანებას, აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია არქიტექტურული პროექტის კორექტირების გარეშე იმსჯელოს უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თანახმად საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა «მშენბლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ», 62–ე მუხლის 1 პუნქტის «პ» ქვეპუნქტისა წერილობით დაგვიდასტუროთ, ზემოთაღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე ასევე გაცნობებთ, რომ უარს ვამბობთ პროექტის შეთანხმებაზე საქმე №AR175171–ზე. ჩვენს მიერ დაჩქარებული მომსახურეობის საფასური გადახდილია 300 (სამასი) ლარი და გთხოვთ ეს თანხა დაგვიბრუნდეს უკან. *(გადახდის ქვითარის ასლს თან ვურთავთ.)*

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,
ფილიალის წარმომადგენელი: /გენადი გუდაძე/

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-07/69046-16 18. 05. 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლების XII ქუჩაზე №13-15-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (20-ბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლების XII ქუჩაზე №13-15-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„A-F" ფასადზე „C-D" მონაკვეთში +1.575 დან +7.175 ნიშნულის ჩათვლით შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი. აღნიშნულ მონაკვეთში სამი ლითონის ბაქნის ქვეშ კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით გაუქმებულია შველერი, ხოლო მეორე შველერის ნაცვლად მოწყობლია შემცირებული ზომის ლითონის კუთხოვანა.

„5-1" ფასადზე -0.925 ნიშნულზე „5-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სამი დეკორატიული ბლოკის წყობა. „2-2" ღერძის გარეთ ბლოკის დეკორატიულ წყობასთან არ არის მოწყობილი დახრილი მოპირკეთება. +7.175 ნიშნულზე „4-1" მონაკვეთში შეცვლილია წყალმიმღები მილების ფორმა.

„F-A" ფასადზე „F-E" მონაკვეთში გაუქმებულია ერთი გარე კიბის საფეხური, ასევე შეცვლილია საჩრდილობლის ძირის მოპირკეთება და გამოყენებულია მეტალოკრამიტი. „E-E" ღერძთან არ არის მოწყობილი წყალმიმღები მილი.

„1-5" ფასადზე „3-5" მონაკვეთში შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი. ასევე შეცვლილია საჩრდილობლის ძირის მოპირკეთება და გამოყენებულია მეტალოკრამიტი. +7.175 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში შეცვლილია წყალმიმღები მილების ფორმა.

შენობის ფასადები პროექტში ნაჩვენები ყვითელი ფერის ნაცვლად შეღებილია ღია ვარდისფრად. წინა და უკანა ფასადების მხარეს მანსარდის ფანჯრების თავზე შეცვლილია სახურავის გადახურვის მასალა.

შენობის გარეთ -0.92 ნიშნულზე „5-2" მონაკვეთში, სარდაფის ფანჯრების წინ მოწყობილი ორმოს სიგრძე გაზრდილია დაახლოებით 0.50 მ-ით. „2-1" და „1-3" მონაკვეთში სამი ორმოს კედლები გარედან შესაღებია და მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები. შენობის გარეთ „5-1" ფასადის მხარეს ავტოსადგომზე „5-5" ღერძთან შეცვლილია მოპირკეთების ფორმა. „D-C" ღერძებში შეცვლილია ღობის კედლის ფორმა. ხოლო „A-B" ღერძებში ღობის კედლის ნაწილი არ არის მოწყობილი და მის ნაცვლად გამოყენებულია არსებული სახლის კედელი.

შენობის შიგნით -1.40 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში შემცირებულია ტექნიკური ორმოს გაბარიტები სიგრძე სიგანე (დაახლოებით 0.10 მ-ით). „3-4" და „D-F" მონაკვეთებში ბაქანი აწეულია იატაკის ნიშნულიდან დაახლოებით 0.10 მ-ით, ხოლო „F-F" ღერძთან კი დაახლოებით 0.40 მ-ით. „2-2" ღერძთან „1-5" ფასადის მხარეს შემცირებულია ორმოებს შორის მანძილი (დახლოებით 0.20 მ-ით).

+11.360 ნიშნულზე „4-5” მონაკვეთში შეცვლილია სამერცხლეს კონფიგურაცია და მონაცვლებული აქვს ადგილი „5-5” ღერძისკენ (დაახლოებით 0.50 მ-ით). ასევე აღნიშნულ მონაკვეთში სახურავზე შეცვლილია საფეხურების კონფიგურაცია დამატებულია ერთი კიბის საფეხური და მონაცვლებული აქვს ადგილი „5-5” ღერძისკენ (დაახლოებით 0.50 მ-ით). საფეხმავლო ლითონის ბილიკი დაყოფის ნაცვლად გაერთიანებულია. „1-2” მონაკვეთში გამდინარე წყლის ვინტილაციას მონაცვლებული აქვს ადგილი. ექვს სამერცხლეს „B-E” მონაკვეთში აფარებული აქვს თუნუქის ფურცლები. სახურავზე დამატებით მოწყობილია მეხამრიდიები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტების საზოგადოების ფილიალს საქართველოში, ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლების XII ქუჩაზე №13-15-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (20-ბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/69046-16 17.05.2012წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**

LIBERTY BANK

შემოსავლის ორდერი # 20845534

www.smartv.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი SMARTV-ით

თარიღი: 2012-08-22

ბანკის დასახელება:	ისანი სამგორის ფილიალი	ანგარიში	1005140000
სერვის ცენტრი:	ვარკეთილის ს/ც 1	კოდი	220101402
გადამხდელი:	ბესიკ ჯეჯეია; პ/ნ 62006002928	თანხა	301.00
თანხა სიტყვიერად:	სამასერთი ლარი და 0 თეთრი	ვალუტა	ლარი

მიმღები	აბონ. ნომერი	დამ. ინფორმაცია	თანხა	საკომისიო
არქიტექტურა	AR175171AC AR1751	ჯონი შალამბერიძე;62001012361; - :	300.00	1.00
			300.00	1.00

გადამხდელი	ოპერატორი	კონტროლიორი	მოლარე

ლიბერთი ბანკი
თბილისი ისანი-სამგორი
№ 114
LBR 122
მოლარე-ოპერატორი

MYPHONE

ისაუბრეთ იაფად საზღვარგარეთ მყოფ თქვენს ახლობლებთან! მათ შეუძლიათ მიიღონ თბილისის ნომერი და სმარტფონის ჩვეულებრივი ტელეფონის ან კომპიუტერის გამოყენებით შეუზღუდავად დარეკონ საქართველოში ყველა ნომერზე ადგილობრივი ტარიფებით!
www.myphone.ge (+995 32) 2421717

განაცხადის ნომერი : AR175171

სახელი : ჯონი

გვარი : შალამბერიძე

პირადი ნომერი : 62001012361

ორგანიზაცია : პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრ

ორგანიზაციის კოდი : 206093494

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

- დაჩაქრებული მომსახურების საფასური: № AR175171AC -ზე გადასახდელია 300.0 ლარი.
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი (თბილისი): № AR175171BP -ზე გადასახდელია 0.0 ლარი.
- კულტურული ძეგლებზე მოსაკრებელი: № AR175171CL -ზე გადასახდელია 0.0 ლარი.